საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამბარა

ამბარას სამეკლესიანი ბაზილიკა VII–VIII სს.

ამბარა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის მგუძირხვის თემში, (აფხაზეთის არ), შავი ზღვის ნაპირას, მიუსერის კონცხზე. ადგილმნიშვნელობის კურორტი. ზ. დ. 80 მ, გუდაუთიდან 13 კმ.

ა-ში შემონახულია ადრინდ. შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრული კომპლექსი – ეკლესია (VII–VIII სს.), ზღუდე (შუა საუკ.) და სამოქალაქო შენობათა ნანგრევები (X ს.). ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით შემოსილი ეკლესია, რ-მაც ჩვენამდე თითქმის პირვანდელი სახით მოაღწია, ე. წ. სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობაა. დას. მხარეს ორსართულიანი ნართექსი და პატრონიკეები აქვს. მთავარი ნავის გადამხურავი კამარა გვიანდ. შუა საუკუნეებშია აღდგენილი (კვლავ დაზიანებულია). ა-ის სამეკლესიიანი ბაზილიკა მნიშვნელოვანი ნიმუშია ამ ტიპის არქიტ. ძეგლთა შორის.

ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: Р ч е у л и ш в и л и Л. Д., Некоторые аспекты грузинской архитектуры Черноморского побережья, წგ.: Средневековое искусство. Русь. Грузия, М., 1978.

ლ. რჩეულიშვილი